

თავი 1

შესავალი: სამოქალაქო საზოგადოება და ადამიანური უპირატესობების გეოგრაფია

მაიკლ ჯეჰარსი

სამოქალაქო საზოგადოება ერთ-ერთი ყველაზე გამძლე და ამავე დროს, დამაბნეველი კონცეფციაა სოციალურ მეცნიერებაში. ამიტომაც, ის შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევს ოქსფორდის წინამდებარე სახელმძღვანელოს ანალიტიკური კვლევა-ძიების ჩასატარებლად. ეს კონცეფცია გამძლეა, რადგან გვთავაზობს მოქნილ ჩარჩოს, რომლითაც შეიძლება „ადამიანური უპირატესობების გეომეტრიის“ კვლევა. როგორც მეორე თავში ჯონ ერენბერგი აღნიშნავს, კოლექტიური ქმედების და უპირატესობების ფორმები ნაწილობრივ მაინც იძლევა პასუხებს კითხვებზე საზოგადოებებს სტრუქტურისა და ხელისუფლების, მნიშვნელობისა და კუთვნილების, მოქალაქეობისა და პიროვნული დამოუკიდებლობის შესახებ. ჯერ კიდევ კლასიკური საბერძნეთის პერიოდიდან, აკვირდებოდნენ რა სამყაროს ცვლილებას, მოაზროვნეები უბრუნდებოდნენ სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც ახალ ძალას და ძველი, კარგად ნაცნობი საკითხების შესახებ იდეების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. თუმცა, სამოქალაქო საზოგადოება დამაბნეველი და სადავო კონცეფციაა, რადგან მისი მრავალი განსხვავებული დეფინიცია და გაგება არსებობს (ხშირად ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებული და ჩამოყალიბებული). ის არგუმენტები, რითიც მის ახსნას ცდილობენ, სათანადოდ ვერ მიესადაგება რეალური კულტურებისა და საზოგადოებების სირთულეებსა და შესაძლებლობებს, მით უმეტეს მაშინ, როცა მსოფლიოს ერთ ნაწილში და კონკრეტულ დროს შექმნილი ინტერპრეტაციები სხვაგან გადაგვაქვს.

ამრიგად, თუკი სამოქალაქო საზოგადოება ნამდვილად ჰყენს ნათელს ადამიანური უპირატესობების ცვალებად გეომეტრიას, ამას ახერხებს არა უნივერსალური ფორმების, ფორმულებისა თუ ტოლობების მტკიცებით, არამედ იმ ფორმებისა და სივრცეების შექმნით, რომლებშიც ინდივიდთა მოქმედება და წარმოსახვა შეიძლება გაერთიანდეს დღის წესრიგში მდგარი მთავარი საკითხების გადასაჭრელად. ამასთან დაკავშირებით მაიკლ უოლცერის (1998, 123-24) ხშირად ციტირებულ

დეფინიციას რომ დავესესხოთ, სამოქალაქო საზოგადოება ხალხის ნებაყოფლობითი გაერთიანების სივრცეა ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის, სადაც ადამიანები ახორციელებენ კოლექტიურ ქმედებას ნორმატიული და არსებითი მიზნებიდან გამომდინარე მთავრობისა და ბაზრისაგან შედარებითი დამოუკიდებლობის პირობებში. „იძულების“ რა ეტაპები არსებობს პრაქტიკაში? რამდენად „დამოუკიდებელია“ სამოქალაქო საზოგადოება სხვა სფეროებისგან? რა „მიზნები“ ხორციელდება და რა გავლენით? ბუნებრივია, ეს მიმდინარე, საჭირობო და საკამათო საკითხებია, ამ განმარტების მომხიბვლელობა კი ბევრ განსხვავებულ პასუხსა და ინტერპრეტაციას გულისხმობს და ამავე დროს, ყურადღებას ამახვილებს ძირითად მექანიზმებსა და საკითხებზე. წინამდებარე დისკუსიისთვის იგი საუკეთესო ათვლის წერტილს გვთავაზობს.

1. სამოქალაქო საზოგადოების აღზვევა და დასემა

სამოქალაქო საზოგადოების თეორია და ისტორია ძალზე ვრცელია, მაგრამ ის გზები, რომელთა მეშვეობითაც იდეები პოლიტიკასა და პრაქტიკაში გამოიყენება, დავიწროვდა და შეიზღუდა, რამაც კონცეფციასთან და მის ზოგიერთ ნაწილთან დაკავშირებით დაბნეულობა და უკმაყოფილების ზრდა გამოიწვია. თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების შესახებ კამათისას, პრობლემათა უმეტესობა წარმოიშობა ძლიერი, მაგრამ გაუაზრებელი რედუქციული მიდგომის გამო, რომელიც მოქალაქეთა ქმედების ზოგიერთ ფორმას შორის აყალიბებს მექანიკურ ურთიერთობას, ნორმებსა და ვალდებულებებს, რაც სავარაუდოდ ჩნდება მაკრო დონეზე ისეთი მიზნების მიღწევისას, როგორცაა დემოკრატიზაცია და სიღარიბის შემცირება. ასეთი იდეები სამოქალაქო საზოგადოების შესახებ პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ აქტორთა შორის პოპულარული გვიანი 1980-იანი წლებიდან გახდა, მეცნიერული აზრი კი მათ დასცილდა ან უფრო მეტად დაეჭვდა და კრიტიკული ხასიათის კითხვები გაუჩნდა. როგორც სამოქალაქო საზოგადოების სხვა კონცეფციებს ახასიათებთ, ისეთებს, როგორცაა „მონაწილეობა“ და „განვითარება“, რაც მეტად არის იდეები თანადროული და, შესაბამისად, დაუნმინდავი, მით უფრო გაუგებარია და მეტი საჭიროება იქმნება მათ კრიტიკულ ჭრილში განსახილველად, რასაც ამ სახელმძღვანელოს ავტორები ცდილობენ. მართლაც, საკვანძო საკითხია, რომ სამოქალაქო საზოგადოებას მის გარშემო წარმოქმნილი დაბნეულობა და მზარდი მანიპულაციები ავაცილოთ თავიდან.

1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევას მთელ მსოფლიოში დემოკრატიისკენ სვლა მოჰყვა თან, სამოქალაქო საზოგადოების იდეა დაუბრუნდა ინტელექტუალური და პოლიტიკური დისკუსიის ცენტრს და 1990-იან წლებში უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა. ჩანდა, რომ ყველანი „ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას“ ხედავდნენ დემოკრატიის ერთ-ერთ საყრდენად, „კარგი მმართველობის“, პლურალიზმის და მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური მიზნების მიღწევად. სავარაუდოდ „ის „დიად იდეას“ წარმოადგენს 21-ე საუკუნისთვისაც, მას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უჭერს მხარს პოლიტიკური სპექტრი, მათ შორის, თეორეტიკოსები, აქტივისტები და პოლიტიკური მოთამაშეები (Edwards 2009). ამ თვალსაზრისით სამოქალაქო საზოგადოება იმ ფართო პოლიტიკური და ინტელექტუალური ტენდენციების უდავო ბენეფიციარი გახდა, რომელიც 1960 და 1970-იანი წლების დომინანტური მოტივის, სახელმწიფოს ცენტრალიზებული მმართველობის დამანგრეველი გავლენისა და ამის შემდგომი ოცი წლის განმსაზღვრელი თემის – ბაზარზე ადამიანის ზედმეტი დამოკიდებულების შედეგების ალტერნატივებს ეძებდა.

სამოქალაქო საზოგადოება ამ პარადიგმების მიერ შექმნილი პრობლემების მოგვარებისთვის საჭირო აქამდე ნაკლებ რგოლად მოგვევლინა – ჯადოსნურ ინგრედიენტად, რომელსაც შეეძლო სახელმწიფოსა და ბაზრის „ჩავარდნების“ ათწლეულების გამოსწორება და სოციალურ კავშირებსა და კაპიტალიზმს შორის არსებული დაძაბულობის განეიტრალება, რომელიც სოციალური სფეროს მეცნიერებს სულ მცირე 1944 წელს კარლ პოლანის წიგნის, *დიადი ტრანსფორმაციის* გამოცემის დღიდან აღელვებდათ (Polanyi [1944] 2001).

ამგვარი ოპტიმიზმი 21-ე საუკუნის პირველ დეკადას ახასიათებდა „მესამე გზის“ პოლიტიკის საფარქვეშ – „თანამგრძობი კონსერვატიზმი“, კომუნიტარიანული აზროვნება და მასშტაბური სამოქალაქო მონაწილეობა, ხელისუფლების გადაცემა და ადგილობრივ დონეზე ჩართულობა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის უმეტეს ქვეყნებში, „განვითარებადი“ მსოფლიოს უკეთეს ნაწილში რიტორიკულად მაინც მიმდინარეობდა. ამიტომაც გასაკვირიც არ იყო, რომ ეს იდეები გაჩნდა დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო პოლიტიკაში 2010 წელს „დიდი საზოგადოების“ სახელით, როგორც კონსერვატიულმა და ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიებმა განსაზღვრეს. ყველაზე ბიუროკრატიულმა ინსტიტუციამ – ევროკავშირმაც დაიწყო თავის პოლიტიკურ სტრუქტურებში მონაწილეობის წახალისება 2010 წელს კანონმდებლობის ფორმატში პეტიციებითა და მოქალაქეთა ჩართულობის სხვა ფორმებით¹. ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ, „სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა“ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ღია მიზნად იქცა, რაც გულისხმობდა დემოკრატიის გაძლიერებას და უკმაყოფილების შემცირებას ერაყში, ავღანეთსა და სხვა ქვეყნებში.

ეს ამბიციური და ვიდაცისთვის, შეიძლება სულელური მისწრაფებებია, რომელთა განხორციელებას ვერც სამოქალაქო საზოგადოება, ვერც თუნდაც ნებისმიერ სხვა კონცეფციითა თუ იდეათა წყება ვერ შეძლებს, თუ კონცეფციის სიმდიდრე და მრავალფეროვნება არ დავა წინასწარგანსაზღვრულ, სამოქმედო ინსტრუმენტებამდე, რომელთა ფასეულობა და თანამიმდევრულობა შეზღუდულია და დამოკიდებულია გარე დაფინანსებასა და მხარდაჭერაზე. შედეგად მივიღეთ მთავრობის მიერ დაფინანსებული მოხალისეობრივი პროგრამების სწრაფი ზრდა, „შესაძლებლობების განვითარება“ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების ჩანაცვლება უფრო ვიწრო კონცეფციებით, რომლებიც ოპერირებისთვის უფრო მარტივია – როგორცაა, მაგალითად, „მესამე სექტორი“, „არასამეწარმეო სექტორი“ და „სოციალური ეკონომიკა“. სამოქალაქო საზოგადოების კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ დისკუსია ჩაანაცვლა მის ეკონომიკურ როლთან დაკავშირებულმა კამათმა, კერძოდ – დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფებისთვის ჯანდაცვასთან, განათლებასთან, სხვა სერვისებთან დაკავშირებით შესაძლო სარგებელმა არასამეწარმეო საფუძველზე, მაშინ როცა სახელმწიფო სოციალური ვალდებულებებისგან თავის დაღწევას ცდილობს. ის, რაც დაიწყო, როგორც *დამატებითი* კატეგორია სახელმწიფოსა და ბაზართან მიმართებით, ფასისა და ღირებულებების გამორჩეული წყარო, ნაშთის სტატუსამდე ჩამოქვეითდა, რომელიც მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ დანარჩენ ინსტიტუციებს ბევრი ხარვეზი და სუსტი მხარე აქვთ. ასევე, შემცირდა სტრუქტურული ან სისტემური ცვლილების პოტენციალიც. მთავრობები, მიუხედავად საჯარო მონაწილეობის თაობაზე ღია რიტორიკისა, კვლავ არ ცვლიან მომაბეზრებელ რეგულაციებს და ზოგჯერ აშკარა რეპრესიებს მიმართავენ. ის, რაც ოდესღაც იყო დიალოგი დემოკრატიისა და თვითგამოხატვის შესახებ, ახლა მკვეთრად ტექნოკრატიული და იმ ელიტების მიერ მართულია, რომელთაც სამოქალაქო საზოგადოების საკუთარ თავზე მორგება სურთ და ბიზნესისა და ბაზარზე დაფუძნებული ინვესტიციების პრაქტიკებსა და ენას ბაძავენ (Edwards 2010). რა თქმა უნდა, წლებია ჭიდილი არსებობს სამოქალაქო საზოგადოების რადიკალურ და ნეოლიბერალურ ინტერპრეტაციებს შორის. რადიკალური მას აღიქვამს საფუძვლად, რომელიც სტატუს-კვოს გამოწვევაა და ახალ

ალტერნატივებს ქმნის, ხოლო ნეოლიბერალური – სერვისის მომწოდებელ არასამეწარმეო სექტორად, რომელიც „ბაზრის ჩავარდნის“ გამოა საჭირო. ამ თვალსაზრისის მხარე გაველენა სკეპტიციზმს იწვევს კოლექტიური ქმედების ზოგიერთ ასპექტში, სოციალურ მოძრაობებში, დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებაში, თემის ორგანიზებასა და სოლიდარობის, სერვისისა და თანამშრომლობის არაკომერციულ ღირებულებებში.

რამდენად მიაყენებს ეს ტენდენციები ზიანს სამოქალაქო საზოგადოების ტრანსფორმაციულ პოტენციალს, რამდენად შეამცირებს მოქალაქეთა ჯგუფების უნარებს ან სურვილებს უზრუნველყონ საჯარო და კერძო ძალაუფლების მქონეთა ანგარიშვალდებულება საკუთარ ქმედებებზე, ჩამოაყალიბონ ალტერნატიული იდეები და პოლიტიკური პოზიციები, ძალაუფლების სტრუქტურებში მიაღწიონ ფუნდამენტურ ცვლილებებსა და მასშტაბური კოლექტიური ქმედება განახორციელონ პოლიტიკაში, ეკონომიკასა და სოციალურ კავშირებში შესაღწევად? სავარაუდოდ, უფრო პოზიტიური განწყობებით 2000-იან წლებში ვნახეთ მოქალაქეთა ორგანიზებისკენ მიმართული მხარე ინტერესი (ხშირად, ინტერნეტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა ფორმით წამოწყებული), მონაწილეობის პოტენციალი, დემოკრატიის პირდაპირი და სათათბირო ფორმები, სადაც სამოქალაქო საზოგადოება მთავარ როლს თამაშობდა. ეს მიმართულებები განვითარების მხრივ ორად იყოფა. პირველი – დემოკრატიის ტრადიციული, წარმომადგენლობითი ფორმების განხორციელების, დაკავშირების და თანამედროვე საზოგადოებებში სხვადასხვა ხმის გაჟღერების შეუძლებლობაა, რაც დამატებით ადგილების საჭიროებას ქმნის სახელმწიფოს წარმატებით ფუნქციონირებისთვის. მეორე – მოქალაქეთა პროტესტის პოპულარობაა პირდაპირი ორგანიზების, მონაწილეობის სხვა ფორმების დასუსტების, რეპრესიისა და ჩახშობის მცდელობების მიუხედავად ავტორიტარულ თუ დემოკრატიულ რეჟიმებში. ალბათ, რაღაც ისეთი წერია ადამიანის გენეტიკურ კოდში, რაც უძლებს სამოქალაქო საზოგადოების თვითორგანიზების პრინციპების ბიუროკრატიზაციის მცდელობებს და აბრკოლებს მოქალაქეთა ქმედებას, ბაზრის ნაწილად იქცენ. თუკი ეს ინოვაციები, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც განაგრძობს ზრდასა და გაღრმავებას, შესაძლოა, ისინი პრივატიზაციისა და ზემოდან ქვემოთ მართული სამთავრობო კონტროლის საპირინონედ იქცეს, სამოქალაქო საზოგადოების აბრკოლებას სიმდიდრე დაუბრუნდეს, ხოლო რადიკალური მიზნები თუ პრაქტიკა ძირითად ნაკადში ჩაენეროს.

ამ ვითარების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების შესახებ დისკუსია და ის, რომ მის მრავალ მნიშვნელობას მეცნიერებმა შემატონ სიზუსტის, კრიტიკული დამოუკიდებლობის, გრძელვადიანი ჩართულობისა და ისტორიული სიღრმის ტრადიციული ღირსებები; ასევე, მის პოტენციალს უფრო მეტი ანალიტიკური მიდგომა შესძინონ ჩვენი სამყაროს მთავარი შემადგენელი ნაწილების გასაგებად და შესაცვლელად. მაგრამ, ეს უნდა მოხდეს იმ იდეების ქმედუნარიანობის უგულვებლყოფის გარეშე, რომლებიც მომდევნო თაობებს შთააგონებენ, იბრძოლონ უკეთესი ცხოვრებისთვის. ეს დამოკიდებულება აქვს *სამოქალაქო საზოგადოების ოქსფორდის სახელმძღვანელოს* ყველა ავტორს, ვინც ცნობს ამ კონცეფციის ირგვლივ არსებულ კონკურენციას და მეტოქეობას და თავს არ იზღუდავს არსებული კონცეპტუალური და ემპირიული სირთულეების გამო. სანაცვლოდ, ისინი ეძებენ იმ მნიშვნელობებს, რაც კონკრეტულ ვითარებაში „ცოცხლობს“ და სამოქალაქო საზოგადოებას უკავშირდება სხვადასხვა კონტექსტითა და მიდგომით. თუმცა, სამართლიანობა ითხოვს აღვნიშნოთ, რომ ჩრდილო ამერიკელი ავტორები და ჩრდილო ამერიკული გამოცდილებები გარკვეულწილად ჭარბობს. ეს იდეები გვეხმარება გავიგოთ სამოქალაქო საზოგადოების მრავალფეროვანი, ფართო ხედვის შესახებ და თავი ავარიდოთ რომელიმე ინტერესთა ჯგუფის, ან სააზროვნო სისტემის მიერ ტერმინის არასწორად გამოყენებას ან მონოპოლიზაციას. ამ პროცესის საწყისი წერტილი თანამედროვე გაგებით, სამოქალაქო საზოგადოების ირგვლივ არსებული დაბნეულობის აღმოფხვრაა განსხვავებული პერსპექტივების ხელახალი ინტეგრაციით მწყობრ თეორიებად, პოლიტიკად და პრაქტიკად ქცევისთვის ძლიერი საფუძვლის შესაქმნელად.

2. სამოქალაქო საზოგადოების ზოგადი

სამოქალაქო საზოგადოების შესახებ დებატებისას არსებული დაბნეულობის ერთ-ერთი მიზეზი მისი მოქნილი კონცეფციაა, ბევრი მას საზოგადოების ნაწილად აღიქვამს (მოხალისეობრივი გაერთიანებები), ზოგიც – საზოგადოების სახედ (გამოირჩევა გარკვეული სოციალური ნორმებით) და სხვებისთვის მოქალაქეთა მოქმედებისა და ჩართულობის სივრცეა (აღწერენ საჯარო მოედნად ან სივრცედ). იმის ნაცვლად, რომ განვიხილოთ ეს დეფინიციები, როგორც სრულიად შეუთავსებელი ან მჭიდროდ და უნივერსალურად დაკავშირებულნი, სჯობს ვიკვლიოთ, თუ როგორ ურთიერთობენ ისინი ერთმანეთთან სხვადასხვა კონტექსტსა და თეორიულ მიდგომაში.

ამ მიზნით, მოცემული სახელმძღვანელოს მეორე და მესამე ნაწილი დებატებს იკვლევს პირველი დეფინიციის პერსპექტივიდან – სამოქალაქო საზოგადოების ფორმები განხილულია ფართო და განსხვავებული ორგანიზაციული და გეოგრაფიული პირობების ჭრილში. ეს საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ბევრი კვლევა, ფონდები და პოლიტიკური დღის წესრიგიც საკმაოდ ეთნოცენტრულია. ის, გარკვეულწილად, ეყრდნობოდა ალექსის დე ტოკვილის ნაშრომს, რომელიც მე-19 საუკუნის შუა წლების ამერიკაში სხვადასხვა ტიპის მოხალისეობრივ გაერთიანებებს სამოქალაქო საზოგადოების სააბროვნო და სამოქმედო ცენტრში ათავსებდა, მაგრამ მოგვიანებით შეიცვალა სრულიად განსხვავებული კოლექტიური ქმედების კულტურით, ისტორიებითა და თანამედროვე პირობებით. მიმბაძველობამ გამოიწვია ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში განვითარებული მაგალითების ექსპორტი მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, თანაც, არცთუ მოულოდნელი სამწუხარო შედეგებით. საკვანძო ადგილებად განზრახ ავარჩიე ისეთი კონტექსტები, როგორცაა ჩინეთში, ინდოეთში, აფრიკის საჰარის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთში, სადაც სამოქალაქო საზოგადოების შესახებ იდეებს უპირისპირდებიან და გადააფასებენ ხოლმე. აქვეა უფრო „პროგნოზირებადი“ კონტექსტებიც, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპა, ლათინური ამერიკა და ამერიკის შეერთებული შტატები. ლიზა ჯორდანის ტექსტი – „გლობალური სამოქალაქო საზოგადოება“ – იკვლევს მზარდ ტრანსნაციონალურ ან ეროვნებათშორის მოქალაქეთა ორგანიზებას, რომელიც კიდევ უფრო მეტ მრავალფეროვნებას მატებს არსებულ ფორმებს.

პოპულარული მოსაზრებით, რომელსაც ბევრი დამფინანსებელი თუ პოლიტიკური აქტორი იზიარებს, ის ფორმები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ხსენებაზე ნამოტივირებულნი არიან, ხშირად კონკრეტული ნორმებითა და მიღწევებითაა განსაზღვრული, რომლებსაც, სავარაუდოდ, თვითონვე აწარმოებენ და წარმოქმნიან. ცხადია, რომ მოქალაქეთა ქმედება, მონაწილეობა და დებატები მოითხოვს ფიზიკურ ინფრასტრუქტურას, სადაც შეიძლება ეს ყველაფერი მოხდეს და ამ კუთხით ფოკუსი მოხალისეობრივ და კვაზი-მოხალისეობრივ ორგანიზაციებზე, არა მხოლოდ ადეკვატური, არამედ ძალზედ მნიშვნელოვანია. ეს ორნაირად შეიძლება ავხსნათ: პირველის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ფარავენ სხვადასხვა ტიპის, ზომის, მიზნის, ფორმალობის ხარისხის, მათ შორის, სათემო ან გრასრუტ გაერთიანებებს, სოციალურ მოძრაობებს, პროფკავშირებს, პროფესიონალურ ჯგუფებს, ადვოკატირებისა და განვითარების არასამთავრობო ორგანიზაციებს, რეგისტრირებულ არასამეწარმეო ორგანიზაციებს, სოციალურ საწარმოებს და ბევრ სხვას. მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციების ინდივიდუალური არსებობის, იდენტობის ან ფუნქციონირების ნაკლებობა იმ მეთოდებთან შედარებით, რითიც ისინი ურთიერთობენ ერთმანეთთან, სახელმწიფო ინსტიტუციებთან და ბაზართან ერთიან სამოქალაქო საზოგადოებაში, ეკოლოგიასა თუ „ეკოსისტემებში“ და ერთი კონტექსტიდან მეორეში მონაცვლეობენ. როგორც ნამდვილ, ბიოლოგიურ ეკოსისტემაშია, თითოეული ელემენტი დაკავშირებულია სხვასთან და ძლიერდება სისტემის მრავალფეროვნებით, ბუნებრივი ზრდით, საზოგადოების ყველა წევრი კი თავის ინტე-

რესებსა და განზრახვებს გაერთიანებების შიგნით ახორციელებს. და პირიქით – ნებისმიერი სვლა მეტი ჰომოგენურობისკენ სამოქალაქო საზოგადოების ეკოსისტემის ეროზიას იწვევს, ასუსტებს მას და საბოლოოდ მის მოსპობას უწყობს ხელს. ამიტომაც, რომელიმე კონკრეტულ ფორმაზე ზედმეტი დამოკიდებულება, როგორცაა, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO-ები) საზოგადოებასთან სუსტი კავშირით, საკმაოდ სახიფათოა.

მეორე ვერსიით, გაერთიანებების ეკოსისტემები ნაკლებად იძლევა პროგნოზირებად შედეგებს – იმიტომ, რომ ისინი ორგანულია, მუდმივად განვითარების პროცესში მყოფი ადამიანების შექმნილია, და ყველაზე უფრო წარმატებულია, როცა ადგილობრივ პირობებში და მხარდამჭერი მექანიზმების „მინა-წყალზე“ იქმნება. რეალურად არსებული გაერთიანებების ეკოსისტემების ნაპრალების და დაკარგული კავშირების შესწავლით შესაძლებელია საჭირო დივიდენდების მიღება მაშინაც კი, თუკი ეს პოლიტიკისა და პრაქტიკის გაკვეთილებს ართულებს.

რაც მთავარია, ნებისმიერი ემპირიული კონტექსტის შესწავლიდან ნათელია, რომ გაერთიანებები განსხვავებულ ნორმათა, პოლიტიკათა და რწმენათა ფართო სპექტრს უჭერენ მხარს, განსაკუთრებით განხორციელების დონეზე. იგულისხმება, რომ სწორედ მათი მეშვეობით ხდება შესაძლებელი თუნდაც ფართოდ შეთანხმებული ნორმების პრაქტიკაში განხორციელება სახელმწიფოს, ბაზრისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს შორის.

ამიტომაც „ფორმებსა და ნორმებს“ შორის კავშირები ხშირად ნამდვილი ჰგონიათ, ამ დროს, შესაძლოა ის სუსტია ან კონკრეტული ისტორიული და თანამედროვე კონტექსტის მიღმა საერთოდ არ არსებობს.

3. სამოქალაქო საზოგადოების ნოჩხები

სამოქალაქო საზოგადოება ხშირად გამოიყენება საზოგადოების იმ *სახის* მოქნილად აღსაწერად, სადაც ადამიანებს სურთ ცხოვრება, იგი გამოხატულია ნორმებით, ღირებულებებითა და მიღწევებით, რომლებიც დადებითად და მნიშვნელოვნად ითვლება. მართლაც, ეს ნორმატიული მისწრაფებები ენერჯის ყველაზე ძლიერი წყაროა, რომელიც კოლექტიურ ქმედებას იწვევს, თუმცა, მან შეიძლება, ინდივიდების ყოველდღიური საჭიროებებისა და საჭიროებოთო საკითხებზე შეხვედრებისას ძალიან პრაგმატული ან პროზაული სახე მიიღოს. ცხადია ისიც, რომ სამოქალაქო საზოგადოების ფორმები ავტომატურად ვერ ქმნის კრიტერიუმებსა და მიღწევებს. პირველ რიგში იმიტომ, რომ მოსაზრებები – თუ რა არის „პოზიტიური“ – იცვლება საზოგადოებებს შიგნით და შორის, მეორე, როგორც სოციალური პროგრესი, ასევე, ნორმატიული კონსენსუსი ყველა იმ ინსტიტუტის ინტერაქციის შედეგია, სადაც ჩვენი გეგმები იქმნება და ქმედება ხორციელდება, ვგულისხმობთ სახელმწიფოს და ბაზრისაც. იდეა, რომ „ბუნებრივი“ გადაცემის საზით უკავშირდება „ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება“, რომელსაც ვზომავთ მოხალისეობრივი ასოციაციების სიძლიერისა და სიხშირის მიხედვით და „ძლიერი და მოქალაქეობრივი სამოქალაქო საზოგადოება“, რომელსაც ვზომავთ პოზიტიური სოციალური კრიტერიუმებით, როგორცაა, მაგალითად, ნდობა, ტოლერანტობა და თანამშრომლობა, და „კარგი საზოგადოება“, რომელსაც ვზომავთ მაკრო-დონეზე მიღწევებით სიღარიბესთან, უთანასწორობასთან, დისკრიმინაციასთან და სხვა მასშტაბურ ბოროტებასთან მიმართებაში, მწვავედაა გაკრიტიკებული სამოქალაქო საზოგადოების მკვლევრების მიერ, განსაკუთრებით კი რობერტ პატნემის (1993; 2000) ცნობილი „სოციალური კაპიტალისა“ გამოსვლისა და მისი გავლენის შემდგომ. ისტორიული და ემპირიული მტკიცებულების მიხედვით მოხალისეობრივ გაერთიანებებს მკვეთრად უარყოფითი როლის თამაშიც შეუძლიათ, როგორც მოხდა ვაიმარის გერმანიაში, ლიბანის „სამოქალაქო ომებსა“ და რუანდის ეთნიკური წმენდისას, – მხოლოდ ამ სამი მაგალითის დასახელებაც საკმარისია.

თუმცა, მტკიცება, რომ კრიტიკიუმები იცვლება მოქალაქეებსა და ასოციაციებს შორის, რაც ისედაც აშკარაა, სამოქალაქო საზოგადოების შესახებ მსჯელობას არაფერს მატებს. მიუხედავად ამისა, ხანდახან კრიტიკოსები აიტაცებენ ხოლმე მას, როგორც მთავარი სისუსტეს, რომელიც ამ იდეებს მნიშვნელობას აცლის. უფრო საინტერესოა კითხვების სერია ნორმატიულ მრავალფეროვნებასა და კონფლიქტის შესახებ, რაც ქმნის სივრცეს დასაფიქრებლად – როგორ და რატომ იძენს ეს განსხვავებები მნიშვნელობას? როგორ შეიძლება მათი გადაჭრა? შეიძლება, ან უნდა დავაახლოვოთ „სამოქალაქო“ „არასამოქალაქოსთან“, „უნაყოფო საქმის“ მსგავსად, როგორც ამას მე-17 თავში კლიფორდ ბობი აღწერს? თუ არ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომ ყველა გაერთიანება „დემოკრატიული მოქალაქეობის სკოლა“ უნდა იყოს, რა სახის გავლენა ექნება სამოქალაქო მონაწილეობის სხვადასხვა ფორმას სოციალურ ნორმებზე? თუ არ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ყველა „კარგი მოქალაქე“ უნდა დაეთანხმოს სტანდარტულ ნორმატიულ დღის წესრიგს, რა საერთო ღირებულებები ექნებათ და ერთმანეთის სასარგებლოდ რას გაცვლიან სხვადასხვა ღირებულებათა შორის, როგორიცაა თანასწორობა და თავისუფლება? თუ არ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომ დემოკრატიის შესანარჩუნებლად ყველა განსხვავებაზე კონსენსუსის ფორმით უნდა მოვილაპარაკოთ, რისი თქმა შეუძლია სამოქალაქო საზოგადოების თეორიასა და პრაქტიკას ასოციაციების ეკოსისტემების ზემოთ აღწერილი შუამავალი ეფექტების შესახებ?

მეოთხე ნაწილში საკითხები განხილულია იმ შენატანის მეშვეობით, რომელსაც შეიძლება, ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების „საკამათო ძირეული“ ღირებულებები ვუნოდოთ, მაგალითად, ცივილურობა, მრავალფეროვნება, თანასწორობა, მეორე მხრივ კი ის მოიცავს სოციალური კაპიტალის ორაზროვან სფეროს – რელიგიას და სულიერებას – სადაც ნორმატიული კითხვები განსაკუთრებით საყურადღებოა. ეს ღირებულებები სამოქალაქო საზოგადოების ცნებისთვის ძირითადია, რადგან შეთანხმებების და მათთან კავშირის გარეშე კოლექტიური ქმედება, გაერთიანებების ცხოვრება, მონაწილეობისა და განხილვის პროცესები ვერ გავიყვანს თეორიით ნავარაუდევ შედეგებზე. მაგალითად, მასშტაბური უთანასწორობა ან დისკრიმინაცია ვიდაცების ინტერესსა და დღის წესრიგს ემსახურება და საჯარო სფეროს ანადგურებს. თუმცა, დავა მიმდინარეობს ძირითად ღირებულებებზე, როგორც მნიშვნელობის, ასევე დატვირთვის მიხედვით, რადგან მათ სხვადასხვა ჯგუფები იყენებენ. სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთ ნორმატიულ კრიტიკაში მაფიისა და ალ-ქაიდას მაგალითები თითქოს ამ კითხვას პასუხობს, მაგრამ მსჯელობისას ნაკლებად გამოდგება მათი რადიკალურობის გამო – რაღაც მხრივ ისინი თითქოს ახლოსაა სამოქალაქო საზოგადოების ფორმებთან, მაგრამ ეს უფრო კრიმინალური, სამხედრო ან პარასამხედრო აქტივობებია, რომელებიც ამ ძირითადი ღირებულებების ყველაზე ფართო ინტერპრეტაციების წინააღმდეგ არის მიმართული.

უფრო საინტერესოა სხვადასხვა სახის „ჩვეულებრივ“ გაერთიანებებს შორის არსებული ნორმატიული სხვაობები, რაც მრავალფეროვნებას მოაქვს თან და რასაც სამოქალაქო საზოგადოება უნდა ახალისებდეს და იცავდეს. ეს ცვლილებები არა მხოლოდ კულტურაში, სარწმუნოებასა და იდეოლოგიაში ძვეს, არამედ უფრო ღრმა, ისეთი სოციალური განსხვავებებიდან მომდინარეობს, როგორიცაა გენდერი და ეთნიკურობა, რაც სამოქალაქო საზოგადოების იდეებს ფუნდამენტურად ამრავალფეროვნებს. მე-20 თავში ჰილდე ქოფე და ქეთრინ ბოლზენდაალი ამ სხვაობების გავლენას იკვლევენ გენდერის ჭრილში. თუმცა, ეს ძირეული განსხვავებები საჯარო სფეროს თეორიას ეფუძნება და სამოქალაქო საზოგადოების აზროვნების სარგებლიანობას ან მთლიანობას არავითარ საფრთხეს არ უქმნის.

4. სამოქალაქო საზოგადოების სივრცეები

სამოქალაქო საზოგადოების აზროვნების ძლიერი ტრადიცია ყურადღებას უფრო მეტად სივრცეებზე ამახვილებს, სადაც მოქალაქეები სახელმწიფოსა და ბაზრის ინსტიტუციებთან ერთად არიან ჩართულნი, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოების ფორმებსა ან ნორმებზე. ეს ტრადიცია ნაკლებ ხილულია პოლიტიკოსთა და დამფინანსებელთა დისკურსში, ალბათ იმიტომ, რომ დამოუკიდებელი მედიისა და კონფლიქტის გადაჭრის პროექტებისგან განსხვავებით, სწრაფი მოქმედებით არ ხასიათდება, თუმცა კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო საზოგადოების სარგებლიანობის, როგორც კონცეპტუალური ჩარჩოს აღქმისთვის და გვთავაზობს მექანიზმს, რომელიც აიტანს და ზოგ შემთხვევაში მოაგვარებს სხვაობებს ასოციაციებსა და მათ დღის წესრიგს შორის, რათა შეიქმნას საჯარო ინტერესის ახალი აღქმა, ახალი საჯაროობა, რომელიც საკმარისად ძლიერი იქნება ჩართული ძალაუფლებრივი კავშირებისა და პოლიტიკაში არსებული ბარიერის დასაძლევად. ეფუძნება რა ანტონიო გრამშის თვალსაზრისს სამოქალაქო საზოგადოების შესახებ, რომ ესაა ადგილი ჰეგემონიისა და შეჭმრების განვითარებისთვის, ასევე ჯონ დიუის ფილოსოფიას პრაგმატულ საჯარო ჩართულობასა და განხილვაზე და იურგენ ჰაბერმასის თეორიას „საჯარო სფეროს“ შესახებ, ეს მიდგომა ხაზს უსვამს მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცესს, საზღვრავს შედეგებს და სტრუქტურულ პირობებს, რომლებიც იქმნება, ფართოვდება ან იზღუდება სხვადასხვა ჯგუფისთვის სხვადასხვა დროს. მართლაც, საჯარო სფეროს მიერ შემოთავაზებული შეხედულებების და პრაქტიკული შესაძლებლობების გარეშე, სამოქალაქო საზოგადოება სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა აქტივობებისა და რწმენების დანაწევრებული ნაკრები.

ბოლო საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ხელახლა ამახვილებს ჩვენს ყურადღებას მიკრო-დონის კვლევებიდან და ინდივიდუალური ასოციაციებისადმი მხარდაჭერიდან მაკრო-დონის საკითხებზე, რასაც ხშირად უგულებელყოფენ დამფინანსებლები, პოლიტიკური აქტორები და ზოგჯერ მეცნიერებიც, როდესაც ფიქრობენ სამოქალაქო საზოგადოებასა და მის ეფექტებზე. მაკრო-დონის საკითხები, როგორცაა დაუცველობა, უთანასწორობა, ფრაქციონალიზმი, კომუნიკაციის სტრუქტურები, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი, ფორმას სძენს ნებისმიერი ხალხის უნარს, გააქტიუროს თავისი მოქალაქეობა საჯარო პროცესით, განახორციელოს „საჯარო სამსახურის“ პროექტები, როგორც ამას ჰარი ბოთი გვთავაზობს 26-ე თავში, ერთობლივად ჩაერთოს – განსხვავებების გადალახვით, ალიანსების, კავშირების და სოციალური მოძრაობების შექმნით – საჯარო პოლიტიკასა და ბაზარზე საკმარისი გავლენის მოსახდენად. მეხუთე ნაწილი იკვლევს იმ ძალებს, რომლებიც აძლიერებენ და ასუსტებენ საჯარო სივრცეებს და პროცესებს, რასაც ისინი გულისხმობს და სადაც მოქალაქეები ერთვებიან, კამათობენ და განიხილავენ მიმდინარე საკითხებს, აღწევენ კონსენსუსს თავიანთი საზოგადოებების მომავალ მიმართულებაზე, მონაწილეობენ დემოკრატიკაში, მართვასა და „დიალოგურ პოლიტიკაში“.

თანამედროვე, ბაზარზე დაფუძნებულ საზოგადოებებში საჯარო სფეროს საფრთხე ბევრი სხვადასხვა წყაროდან ემუქრება, თუმცა, რაღაც მხრივ ეს საფრთხეები მიმდინარე პრივატიზაციას და ადამიანის ქმედების კომერციალიზაციას უკავშირდება, რისგანაც არც სამოქალაქო საზოგადოებაა თავისუფალი, – ის თანამედროვე კაპიტალიზმის კურსისთვის დამახასიათებელი, ზოგადად, არსებობის ყველა სფეროში „საჯაროობის შემცირების“ ნაწილია (Marquand, 2004). ამ საფრთხეების საპირწინედ ერთხელ უკვე იქნა აღქმული მოხალისეობრივი გაერთიანებებისა და ფილანთროპიის განსხვავებული ფორმები და ნორმები, რომლებიც ბაზრიდან წარმოიშვნენ და არასამეწარმეო ჯგუფებისთვის სერვისის მიწოდებისას, ბიზნეს-პრინციპებს იყენებენ „უფრო ეფექტური“ მოქმედებისთვის ხელის

შესაწყობად. ბაზრისთვის დამახასიათებელი „ჰიპერინდივიდუალიზმი“ არანაირ მხარდაჭერას არ უცხადებს კოლექტიურ ქმედებას ან საჯარო მუშაობის პროცესებს, ხელჩასაჭიდს არაფერს უტოვებს საზოგადოებას, რათა ერთად დადგნენ მზარდი ეკონომიკური და სოციალური სტრესების წინაშე. დაუცველობის, რისკისა და უთანასწორობის ზრდა სამოქალაქო მონაწილეობას უფრო ართულებს და მომთხოვნს ხდის, ხოლო საჯარო სფეროს ელიტების ინტერესებისკენ გადახრის. ზოგადი და უმაღლესი განათლების პოლიტიკა უფრო ვიწრო ტექნიკურ უნარებს ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე „სამოქალაქო ცოდნის“ ფართო შესაძლებლობებს, როგორც პიტერ ლევინი აღნიშნავს 29-ე თავში და ამით ჩვეულებრივი ადამიანების ხმას ასუსტებს. მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოებისა და „საჯარო-კერძო პარტნიორობისადმი“ ოფიციალური მხარდაჭერის რიტორიკისა, ქვეყნების უმეტესობაში მთავრობათა დამოკიდებულება კვლავ მიიწევს სოციალური ინჟინერიიდან პირდაპირი რეპრესიისაკენ, განსაკუთრებით მოქალაქეთა მასშტაბური მობილიზაციის, ადვოკატირებისა და პროტესტის მიმართულებით.

რა თქმა უნდა, საჯარო სფეროში უფრო მეტი ჩართულობისთვისაც არსებობს შესაძლებლობები ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების, სათემო მედიის, „საჯარო ჟურნალისტიკის“ და ამ ინოვაციების გარშემო განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების ახალი ფორმების წყალობით. ამ სიახლეებისადმი დამოკიდებულებები ვარიანებს მეტისმეტი ოპტიმიზმიდან უზომო პესიმიზმამდე, სიმართლე კი სადღაც შუაშია. ყველაზე წარმატებულსაც კი გაუჭირდება საჯარო სფეროს სტრუქტურული უთანასწორობების შეცვლა განსაკუთრებით იმიტომ, რომ ახალი კომუნიკაციები მეტწილად ვირტუალურია და არა პირდაპირი, შესაძლოა, სწორედ ამიტომაცაა ნაკლებად ეფექტური ინსტრუმენტი არსებულ პოლიტიკური რეალობასთან, ძალაუფლებასთან და ცვლილებებთან გასამკლავებლად, – განსხვავებით ინტერესთა ჯგუფებს შორის დამკვიდრებული ნორმებისგან და ღირებულებებისგან. „კიბერ-ოპტიმიზმები“, რომელთაც 27-ე თავში აღწერს რობერტა ლენცი, შესაძლოა, ამას არ დაეთანხმონ, მაგრამ საჯარო სფეროს ბალანსი ქვეყნების უმეტესობაში ნაგებს უფრო გვაძლევს, ვიდრე მოგებას, საფრთხეში აგდებს საჯარო სივრცეების უნარს, ხელი შეუწყობს დემოკრატიულ ჩართულობას და კონსენსუსის მიღწევას და კითხვის ნიშანს აჩენს სამოქალაქო საზოგადოების საბოლოო მიღწევებთან დაკავშირებით.

5. სამოქალაქო საზოგადოების მიღწევა

თითოეული თეორიული მიდგომა ფორმების, ნორმებისა და სამოქალაქო საზოგადოების სივრცეების თაობაზე ბევრ რაიმეს გვთავაზობს, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების მიღწევები ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია. ისინი კი, დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტში სხვადასხვა სააზროვნო სკოლის შეხედულებების ერთიანობაზე. როგორ ეხმარება, ან ხელს უშლის გაერთიანებების ცხოვრების სტრუქტურები და საჯარო სფეროს დინამიკა „კარგი საზოგადოების“ მიზნების მიღწევას? ეს არის ყველაზე საჭირობოროტო კითხვა სამოქალაქო საზოგადოების თემის განხილვისას და ასევე, ყველაზე ნაკლებად გამოკვლეულიც, ალბათ მისი სირთულიდან გამომდინარე – მას არც მარტივი პასუხები შეესაბამება და არც პირდაპირი პოლიტიკური რეცეპტები არსებობს. ამ სახელმძღვანელოს ყველა ავტორი მოცემულ შეკითხვაზე ფიქრობს და გასაკვირი არ არის, რომ სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდებიან ხოლმე. მაგრამ ამ კითხვის ასე დასმაც კი გვეხმარება დისკუსია ავარიდოთ იმ ორ პასუხს, რომლებმაც გზა აურია სამოქალაქო საზოგადოების შესახებ დებატებს. პირველი, ამ მიდგომებიდან ერთის მიმხრობა და სხვების გარიყვაა, მეორე – უნივერსალურ პირობებში ამ მიდგომების ერთად შეკვრაა, რის გამოც მეცნიერები და პოლიტიკური აქტორები აზოგადდებენ თავიანთ

დასკვნებს იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საზოგადოების ბევრი ორგანიზაციის „მშენებლობა“ ავტორიტეტულად დააფუძნებს „პოზიტიურ“ სოციალურ ნორმებსა და პრაქტიკებს, ამით კი შეიქმნება საფუძველი დემოკრატიის გაღრმავებისთვის, სიღარიბის გაქრობისთვის და სხვა მაკრო-დონის მიზნების მიღწევისთვის.

რა თქმა უნდა, ეს დასკვნა ბოლომდე მცდარი არ არის, მაგრამ თუკი გამოვიკვლევთ, თუ როგორ შეიძლება სინამდვილეში დემოკრატიის გაღრმავება, სიღარიბის შემცირება, მშვიდობის აღდგენა ან შენარჩუნება, ძალაუფლებრივი კავშირებისა და ბაზრის ეკონომიკის ტრანსფორმირება, რასაც მე-ნაწილში ცდილობენ ავტორები, ცხადი ხდება, რომ სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ ერთ-ერთი ძალაა მრავალთაგან, რომელიც მუშაობს და ხშირად წინ უსწრებს ამ პრობლემებს და ამავე დროს, მათ გადაჭრამდე შეუძლია წვლილის შეტანა. მიზეზისა და შედეგის რთული ფორმების ამოსახსნელად, სამოქალაქო საზოგადოების აზროვნების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების ანალიზია საჭირო. სამოქალაქო საზოგადოების *ფორმების* გაგება გვეხმარება უკეთ დავინახოთ რა ტიპის კოლექტიური ქმედებებია ყველაზე მნიშვნელოვანი კონკრეტულ საკითხებთან და მათ კონტექსტთან მიმართებით, სადაა ასოციაციური ეკოსისტემის ხარვეზები და დარღვეული კავშირები, რომელთაც ყურადღება ესაჭიროება. მაგალითად, ბანგლადეშის შემთხვევა გვაჩვენებს, რომ სერვისის მომწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების ზრდამ გაზარდა ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობაზე, განათლებასა და ეკონომიკურ მომსახურებაზე ღარიბებს შორის, მაგრამ ვერ შეძლო მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა სოციალურ მობილიზაციასა ან პოლიტიკურ გაძლიერებაზე, იმ არეალზე, რომელიც მასშტაბური და გრძელვადიანი პროგრესის ფუნდამენტია (Kabeer, Mahmud, and Castro, 2010). სამოქალაქო საზოგადოების *ნორმების* გაგება გვაცნობს იმ არეალებს, სადაც ძალებს შეუძლიათ გამოიწვიონ სოციალური ცვლილებები ღირებულებების, რწმენების და იდეოლოგიების სახით, ისინი კი თავის მხრივ გავლენას ახდენენ მოქალაქეთა ქმედებაზე, განაპირობებენ სოციალური მოძრაობების წარმატებასა თუ შეცდომებს და სხვა მცდელობებს თამაშის წესების შესაცვლელად. სამოქალაქო საზოგადოების *სივრცეების* გაგება არსებითი საკითხია, თუკი გვსურს ნორმების განხილვა და კონსენსუსის მიღწევა, ძალაუფლებრივი კავშირების გამონვევა და ხელახლა ფორმირება რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს სოციალური ქმედების წარმატებას. როდესაც ფორმების, ნორმებისა და სივრცეების ანალიზი ერთ ჩარჩოდ ყალიბდება, ხელახლა შეგვიძლია დავინახოთ სამოქალაქო საზოგადოების მიღწევები ყველაზე კომპლექსურ და რთულ პირობებშიც კი. ამგვარად დანახული სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ერთდროულად მიზანს, მისი მიღწევის საშუალებას და მიზნებსა და საშუალებებზე ადამიანების ურთიერთკავშირის და ჩართულობის ჩარჩოს.

თუკი ეს სიმართლეა, მაშინ სამოქალაქო საზოგადოების განსავითარებლად და წასახალისებლად ამოცანა, ორგანიზაციული განვითარების ჩვეულებრივი დღის წესრიგისა და უფრო მეტი მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერის მიღმა, კიდევ უფრო რთულდება. ამიტომაც ადეკვატურია ამ სახელმძღვანელოს დასრულება მე-7 ნაწილით იმ სამ ავტორთან ერთად, რომლებიც აკვირდებიან ფილანთროპიისა და უცხოური დახმარების სხვადასხვა ფორმებით სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობის მცდელობებს, რაც ბერლინის კედლის დაცემის შემდგომ ბევრი დონორი სააგენტოს ყურადღებას იპყრობს. ამ ავტორთა ვერდიქტი ერთი მხრივ პესიმისტურია, რადგან ფონდები და დამფინანსებლები ვერ საზღვრავენ ამოცანათა შედეგებს და აზვიადებენ მათ პოტენციურ გავლენას. პარადოქსია, რომ სამოქალაქო საზოგადოება შესაძლოა ყველაზე ეფექტურად მაშინ მიიწვედეს წინ, როდესაც დონორები ნაკლებს და არა მეტს აკეთებენ, უკანა პლანზე იხევენ და მოქალაქეებს აძლევენ საშუალებას თავად განსაზღვრონ დღის წესრიგი და საკუთარი კონტექსტისა და პრობლემების შესაბამისი სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოება განავითარონ.

6. დასკვნა

ამ შესავლის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების დებატის საბაზისო პარამეტრების გაშუქება, რათა მკითხველს დაეხმაროს ფართო კონტექსტში გაიაზროს წარმოდგენილი ბევრი სხვადასხვა მოსაზრება. ეს აუცილებლად გულისხმობს რომელიმე ცალკეული გაგების, ინტერპრეტაციის ან თვალსაზრისის უარყოფას იმ იდეის გარდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ფორმების, ნორმებისა და სივრცეების ნაერთია მაიკლ უოლცერის დეფინიციით, ესაა „ადამიანების ნებაყოფლობითი გაერთიანება“ ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის. შესაძლოა, ეს რთული ან ბუნდოვანი ჩანდეს, მაგრამ გაცილებით უკეთეს სანყის წერტილს წარმოადგენს, ვიდრე დებატების ჩარჩოში მოქცევა ჰაბერმასის, დე ტოკვილის ან სამოქალაქო საზოგადოების პანთეონის სხვა ცნობილი მკვლევარის მიხედვით. მას შემდეგ რაც გავთავისუფლდებით იდეისგან, რომ სამოქალაქო საზოგადოება ყველა კონტექსტში ერთსა და იმავეს უნდა ნიშნავდეს, მართედება მრავალნაზნაგოვანი დიალოგის წამოწყება, როგორც იდეის ძირეული ელემენტების, ასევე მასთან დაპირისპირებული პერიფერიული ნაწილების შესახებ, ხოლო თეორია კვლავ უკავშირდება პრაქტიკას ქმედითი გზებით.

სამოქალაქო საზოგადოების დებატებში ნაკლებად სავარაუდოა კონკრეტული დასასრულის ან გამარჯვებულის გამოვლენა, რადგან კონცეფცია შექმნის პროცესშია და ხელახლა განიმარტება ახალი აქტორების მიერ. არ არის მოსალოდნელი, გაქრეს ან დამარცხდეს იდეა იმის შესახებ, რომ მოხალისეობრივ კოლექტიურ ქმედებას შეუძლია სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლა. ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოების ბევრი განსხვავებული ფორმა შეიქმნება მომავალშიც, მოიცავს რა ჰიბრიდულ ორგანიზაციულ ფორმებს, თანამშრომლობისა და სოლიდარობის ტრადიციული ცნებებისგან განსხვავებულ ნორმებს და სივრცეებს, რომლებშიც არსებობს სექტორთშორისი პარტნიორობა და ალიანსები, მეცნიერებმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლო ინსტრუმენტი და მიდგომა ამ ცვლილებათა დანახარჯებისა და სარგებლის ინტერპრეტირებისთვის, – ეთნოცენტრული და სხვა ტიპის რწმენების გარეშე, რამდენადაც ეს ზოგადად, ადამიანისთვისაა შესაძლებელი. მოსალოდნელია, რომ ამ ამოცანაზე გავლენას მოახდენს მთავრობა, ბიზნესი და სხვები ტრადიციული როლების, უფლებების, სამოქალაქო საზოგადოების ასოციაციების პასუხისმგებლობების, საჯარო სფეროს და სხვა ღირებულებების ხელახლა განსასაზღვრად. ეს ზენოლა გამოცდის და თავიდან შექმნის მოქალაქეთა ქმედით პრაქტიკას სამოქალაქო საზოგადოების თეორიის ქვეტექსტების მატარებელი დადებითი და უარყოფითი გზებით უკეთესი საზოგადოებისთვის. ვიმედოვნებ, *სამოქალაქო საზოგადოების ოქსფორდის სახელმძღვანელო* დაეხმარება ყველანაირი რწმენის მქონე მკითხველს შექმნას მიმართულების მონახაზი უფრო ცხადად, ღრმად და წარმატებით ამ უსაზღვრო სფეროში სამოძრაოდ.

შენიშვნა

1. “Europe Turns Ear Toward Voice of the People,” by S. Daley and S. Castle, New York Times July 22, 2010. „ევროპა ყურს უგდებს ხალხის ხმას“, ს. დეილი და ს. ქასლი, „ნიუ იორკ თაიმსი“, 22 ივლისი, 2010.

ბიბლიოგრაფია

- Edwards, M. 2009. *Civil Society*. 2nd ed. Cambridge: Polity Press.
- . 2010. *Small Change: Why Business Won't Save the World*. San Francisco: Berrett-Koehler.
- Kabeer, N., S. Mahmud, and J. Castro. 2010. *NGO Strategies and the Challenge of Development and Democracy in Bangladesh*. Institute for Development Studies Working Paper 343. Brighton Institute for Development Studies.
- Marquand, D. *The Decline of the Public*. 2004. Cambridge: Polity Press. Polanyi, M. [1944] 2001. *The Great Transformation*. Boston: Beacon Press.
- Putnam, R. 1993. *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy*. Princeton, N.J.: Princeton University Press.
- . 2000. *Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community*. New York: Simon & Schuster.
- Walzer, M. 1998. "The Idea of Civil Society: A Path to Social Reconstruction," in E. J. Dionne (ed.) *Community Works: The Revival of Civil Society in America*. Washington, D.C.: Brookings Institution Press.